განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)
სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

04 დეკემბერი, 2018 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
30.11.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიზაინის ბაკალავრი 0803
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 2013.11.12 გადაწყვეტილების ნომერი - 215

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი- პროფესორი, დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე - პროფესორი, დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ჩხუტიშვილი - დამსაქმებელი, შ.პ.ს. „სტილი“, მოდის სახლი“მაქმანი“- სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი დიზაინერი; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარი ბერიანიძე - სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ქ. ბათუმში უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია სათავეს იღებს გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან. 1995 წლის 29 სექტემბერს ქ. ბათუმში ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაარსდა. რამდენიმე წელიწადში ხელოვნების ინსტიტუტი იქცა წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრად. ინსტიტუტში 3 ფაკულტეტი და 9 კათედრა არსებობდა. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. ხელოვნების უნივერსიტეტმა მოამზადა მრავალი პროფესიონალი ხელოვანი, რომლებიც ამჟამად წარმატებით მოღვაწეობენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლობს 411 სტუდენტი, დასაქმებულია 280- მდე თანამშრომელი, მათ შორის 40 აკადემიური თანამდებობის პირი. მთავრობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით 2018 წელს ექსპლუატაციაში შევა ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ახალი შენობა, რომელიც უმაღლესი სახელოვნებო განათლების თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს. შენობა უზრუნველყოფილია სარეპეტიციო დარბაზებით, შემოქმედებითი სახელოსნოებით, სამონტაჟო კაბინეტებითა და აუდიოვიდეო აპარატურით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, დიდი და მცირე აუდიტორიებით, სასწავლო თეატრით, მცირე საკონცერტო დარბაზით, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით და კომპიუტერული აუდიტორიებით.

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 3 ფაკულტეტი - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი; მუსიკის ფაკულტეტი; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 10 აკადემიური დეპარტამენტი; უწყვეტი განათლების ცენტრი; სასწავლო თეატრი; მუსიკალური ფოლკლორის შემსწავლელი ლაბორატორია; სასწავლო-სამკერვალო სახელოსნო. პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების მონაცემების თანახმად პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა - 12 (მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) აკადემიური პერსონალი: პროფესორი 3, ასოცირებული პროფესორი 5, მოწვეული სპეციალისტი 3 ; ადმინისტრაცია 9 , დამხმარე პერსონალი 104.

საბაკალავრო პროგრამა „დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)“ წარმოადგენს საბაზისო საფეხურს უნივერსიტეტში მოქმედი დიზაინის მიმართულების სამაგისტრო პროგრამისათვის, რომელიც მოიცავს ორ კონცენტრაციას. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტთა წლიური მიღება მერყეობს 5-7 სტუდენტი წელიწადში. ირკვევა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე აბიტურიენტთა მოთხოვნა დიდია და შესაბამისად, კონკურსი მაღალი. აქტიური სტუდენტების რაოდენობაა-20 სტუდენტი, ასევე პროგრამას ყავს კურსდამთავრებულები -7 სტუდენტი, ერთი მათ შორის საერთაშორისო აღიარების მქონე.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ამავე დროს, იგი არის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც პროგრამის შემუშავებიდან დღემდე, ხელმძღვანელობს დიზაინის საბაკალავრო პროგრამას, მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მისი კვალიფიკაცია პროგრამის მიმართულების შესაბამისია. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, მუდმივად მუშაობს პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან პროგრამის დახვეწაზე, სილაბუსების შინაარსის გაფართოებასა და პროგრამის ახალი სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფაზე; ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას პროექტებში, დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან პროგრამის გაცნობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის მიზნით. უნივერსიტეტში დამტკიცებულია კოდების მინიჭების წესი:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-უნივერსიტეტი) ყველა საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსს ენიჭება შიდასაუნივერსიტეტო კოდი.
2. სასწავლო კურსს კოდს წინამდებარე წესის შესაბამისად ანიჭებს სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.
3. ყველა სასწავლო კურსს წინ უძღვის პროგრამის აღმნიშვნელი კოდი. პროგრამის კოდირება შემდეგნაირია: სწავლის საფეხურის აღმნიშვნელ სიმბოლოს „B“-ბაკალავრიატი, „M“-მაგისტრატურა დამატებული პროგრამის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. თუ საგანმანათლებლო პროგრამა შედგება რამდენიმე კონცენტრაციისაგან საგანმანათლებლო პროგრამის კოდს ემატება „-„ სიმბოლო და კონცენტრაციის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი
4. სპეციალობის საერთო კურსებისათვის კოდის მინიჭების წესი განისაზღვრება შემდეგნაირად: პროგრამის აღმნიშვნელ კოდს დამატებული სპეციალობის საერთო კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო - „g“ (სპეციალობის საერთო კურსები - specialty general courses =g) და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.

რეაკრედიტაციისათვის პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა მოსაზრებების, შრომის ბაზრის კვლევის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზის გათვალისწინებით განახლდა სილაბუსები, ახალი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, განახლდა სასწავლო რესურსი, საგნის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალკომპონენტიანი მეთოდები და კრიტერიუმები, რითაც უფრო მეტად უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა.

ინტერვიუმ დამსაქმებელთან და კურსდამთავრებულებთან წარმოაჩინა ე.წ. საწარმოო პრაქტიკის დეფიციტი, რაც განსაკუთრებით მოდის ინდუსტრიის სფეროში სტუდენტების ჩართულობისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან კომპონენტად მიგვაჩნია. ამგვარი აქტივობები უზრუნველყოფს შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სხვადასხვა საგანში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას. მით უფრო, რომ რეგიონში კარგი პირობაა შექმნილი ინდუსტრიის განვითარებისა (მეზობელი ქვეყანაც წარმატებით იყენებს ბაზარს) და

დამსაქმებელიც მზად არის აიყვანოს ინტერნები, რათა გაიზარდოს კონკურენცია და ამაღლდეს წარმოების ხარისხი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N 998 07.11.2018 (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2018 წლის 13 ნოემბერს; ვიზიტის წინ ორი დღით ადრე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნაცვლად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 16.00 საათზე და 18.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 09.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, წამყვან მოწვეულ პერსონალთან, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები, უკვე დასრულებული ახალი შენობა- ნაგებობა და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის დასასრულს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, რამაც ძალზე კონსტრუქტიული დიალოგის სახე მიიღო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის ჩართულობა, ინტერესი და მოტივაცია პროგრამის განვითარებისა და თვითშეფასების პროცესში; ხოლო სტუდენტების და კურსდამთავრებულების მხრიდან სწავლების პროცესში მოლოდინზე მეტი შედეგის მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დიზაინი“ (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი) მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებზე. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნადი, დეფიციტური კადრების მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების მიმართულებით.

დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების სტანდარტის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების შესრულებისათვის რექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N01-08/94 ბრძანებით (ბრძანების დანართი N2) შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, 3 პროფესორი; 5 ასოცირებული პროფესორი, სამოსის დიზაინის მეორე კურსის სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი-არტ სტუდიოს დირექტორი.

პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო ახალი სტანდარტებით პროგრამის შემუშავება და თვითშეფასების კითხვარის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სფეროს საგნებს დაემატოს სპეციალურად ამ პროგრამისთვის შემუშავებული ორი ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი. ერთი მათგანი სტუდენტებს დიზაინის სფეროს უახლეს ტენდენციებს გააცნობს (პირობითი სათაური შესაძლებელია იყოს „დიზაინის თანამედროვე ტენდენციები“), ხოლო მეორე შეასწავლის თანამედროვე ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე უახლეს დარგებსა და მიმდინარეობებს (პირობითად ეს შესაძლოა იყოს „თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია“).
- არჩევითი სასწავლო კურსების სიაში არის კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში“. რეკომენდებულია კურსი გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის საკითხები, რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტს დამოუკიდებელი სამეწარმეო და შემოქმედებითი კარიერისათვის, მისცემს მას აუცილებელ ცოდნას შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად.
- რეკომენდირებულია პროგრამა განვითარდეს ახალი ტექნოლოგიების კუთხით, ანუ დაემატოს კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები პროფესიული კუთხით (მედია კლასტერი) მაგ. Adobe Ilustrator და/ან Adobe Photoshop, რაც სახელოვნებო მიმართულების ბაკალავრს კონკურენტუნარიანს გახდის აკადემიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია, რომ სპეციალობის სფეროში მიმდინარე უახლესი ტენდენციების გასაცნობად სილაბუსებში დამხმარე მასალად შესაბამისი პროფილის ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემები იყოს მითითებული (ასეთ პერიოდიკას განეკუთვნება, მაგალითად, ჟურნალები: „სტილი“, „ინტერიერი“, INTERNATIONAL TEXTILES, ИНДУСТРИЯ МОДЫ, АТЕЛЬЕ და .შ.
- მოდისა და ტექსტილის დიზაინის სფეროში სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად (მოდის ინდუსტრიის ტენდენციების გასაცნობად)

რეკომენდებულია ინდივიდუალური პრაქტიკის კომპონენტის გაღრმავება და გამრავალფეროვნება საბაკალავრო პროგრამის ორივე კონცენტრაციაში.

- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს სწავლა/სწავლების ის კონკრეტული მეთოდები (ამჯერად, განურჩევლად დისციპლინისა, ყველგან ყველა მეთოდია მითითებული), რომლებიც თვალნათლივ დადასტურდება სილაბუსის შინაარსის გაცნობისას.
- ბხსუ-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გადამწყვეტი აქტივობები (ტრენინგები, ენის კურსები და სხვა), რათა შემუშავდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების კონკრეტული გეგმა.
- შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მიზნით, რეკომენდირებულია დაინერგოს საწარმოო პრაქტიკა ე.წ. ინტერნშიფი თუნდაც წინასადიპლომო პერიოდში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქა საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, სასურველია სწავლის შედეგების რუქა გაიწეროს უშუალოდ სწავლის შედეგების მიხედვით.
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს რეკლამისა და სარეკლამო ფოტოგრაფიის სასწავლო კურსი, რაც დამატებით ინფორმაციას შესძენს სტუდენტებს მოდის დიზაინის სფეროს აუცილებელი თანამედროვე კომპონენტების შესახებ, უფრო კონკურენტუნარიანს გახდის მათ შრომის თანამედროვე ბაზარზე და დადებით როლს შეასრულებს პროგრამის განვითარების თვალსზრისით.
- სასურველია, შემუშავდეს და დაიგეგმოს მოწვეული/აკადემიური პერსონალისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები პროფესიული განვითარებისთვის : ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, მასტერ-კლასები, პარტნიორული კავშირები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გარემოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა.
- საბიბლიოთეკო რესურსების განახლება სფეროს /დარგის ახალი საგანმანათლებლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებითა და ტრენდული ჟურნალებით. მაგალითად: INTERNATIONAL TEXTILES, ИНДУСТРИЯ МОДЫ, АТЕЛЬЕ
- სასურველია, შეიქმნას ელექტრონული პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთათვის შეფასების გამჭვირვალობას, გააუმჯობესებს ინფორმაციის სწრაფ გაცვლას.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- სასწავლო უნივერსიტეტი საბაკალავრო პროგრამის პოპულარიზაციის და მისი ცნობადობის ამაღლების მიზნით თანამშრომლობს დასავლეთ საქართველოს ყველა რესურცენტრთან და გარკვეული პერიოდულობით აწყობს გასვლით შეხვედრებს რეგიონულ ცენტრებში, სადაც დაწვრილებით აცნობს ინფორმაციას პროგრამის შესახებ (და მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს) დაინტერესებულ

პირებს, განუმარტავს შემოქმედებითი ტურის თავისებურებებს სავარაუდო აბიტურიენტებს.

- უსდ-ს ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ საბაკალავრო ნაშრომი (რაც ითვალისწინებს განსაზღვრული რაოდენობის კოსტიუმის/ნამუშევრის შექმნას და წარმოდგენას და დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან საჭირო მასალის ღირებულებასთან დაკავშირებით) მთლიანად ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. საბაკალავრო ნაშრომების თემების დამტკიცებისთანავე ფაკულტეტი სავარაუდო ხარჯებს წარუდგენს ადმინისტრაციას. ეს პრაქტიკა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას.
- პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და დამსაქმებლეთან ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში ფართოდაა დანერგილი პრაქტიკა სწავლის პროცესშივე მოკლევადიან პროექტებში დაასაქმონ სტუდენტები და განუვითარონ მათ რეალურ შემოქმედებით პროექტში მონაწილეობის, რეალური დროის რეჟიმში განსაზღვრული ფუნქციის შესრულების უნარ-ჩვევები.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2013 წლის 11 დეკემბრის №215 გადაწყვეტილებით. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, ასევე გასაუბრებით უსდ-ს ადმინისტრაციასთან ირკვევა, რომ საგანამანათლებლო პროგრამაში საერთო სახელწოდებით „დიზაინი“ გაერთიანებული იყო კონცენტრაციები: ტექსტილის დიზაინი; ტანსაცმლის დიზაინი; ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი. 2018 წელს პროგრამა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „დიზაინი (ტქსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)“ (ბხსუ-ს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 34 24.04.2018; ბხსუ-ს აკად. საბჭოს დადგენილება № 04-01/47 25.04.2018).
- პროგრამას მოაკლდა ერთი კონცენტრაცია: ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი, რაც განხორციელდა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის და დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით.
- 2016 წლის 18 აგვისტოს ბრძანება 1102/ნ-ის საფუძველზე პროგრამაში შევიდა ცვლილება: შეიცვალა შეფასების სისტემა, შუალედურ და საგამოცდო შეფასებებში დაწესდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რის შედეგად სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა გახდა უფრო მოქნილი და ორიენტირებული აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე. შიცვალა და თავიდან დამტკიცდა კოდების მინიჭების წესი: სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-უნივერსიტეტი) ყველა საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსს ენიჭება შიდასაუნივერსიტეტო კოდი.
- სასწავლო კურსს კოდს წინამდებარე წესის შესაბამისად ანიჭებს სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით. ყველა სასწავლო კურსს წინ

უძღვის პროგრამის აღმნიშვნელი კოდი. პროგრამის კოდირება შემდეგნაირია: სწავლის საფეხურის აღმნიშვნელ სიმბოლოს „B“-ბაკალავრიატი, „M“-მაგისტრატურა დამატებული პროგრამის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.

- დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, განახლდა სასწავლო რესურსი, საგნის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალკომპონენტიანი მეთოდები და კრიტერიუმები, რითაც უფრო მეტად უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა.
- წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაცია არჩევითი სასწავლო კურსების ერთიანი ბლოკის შექმნის თაობაზე შესრულებულია და ამჟამად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს საკმაოდ მოქნილ მექანიზმს და მრავალფეროვან არჩევანს დამატებითი minor სპეციალობის, 20 კრედიტიანი ორი არჩევითი ბლოკის და მრავალრიცხოვანი არჩევითი სასწავლო კურსების სახით.
- შესრულებულია რეკომენდაცია უცხო ენის გაღრმავებული შესწავლის თაობაზე და ამჟამად პროგრამაში გათვალისწინებულია 10 კრედიტიანი ინგლისური ენის სასწავლო კურსი.
- პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაცია ქართულენოვანი სასწავლო მასალის თაობაზე და მთელი რიგი სასწავლო კურსებისთვის შექმნილია ე.წ. რიდერები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის „დიზაინის“ (ტექსტილი დიზაინი; სამოსის დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამის მიზანია - ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება დიზაინის სფეროში; რომ, სტუდენტმა შეიძინოს პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა, გაერკვეს დიზაინის სპეციფიკაში და განსაზღვროს მისი როლი თანამედროვე მოდისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში; შეძლოს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების გზით საკუთარი პოტენციალის რეალიზება. თვითშფასების ანგარიშში ვკითხულობთ - პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადთეორიული და პრაქტიკული ცოდნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, რის საფუძველზეც ის შეძლებს წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას და ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. თუ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.batu.edu.ge მისიასა და უსდ-ს მიზნებს გავეცნობით, სადაც ცალსახად ვკითხულობთ - უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება; ასევე რეგიონში კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილის დაკავება მისი პრიორიტეტია, შგვიძლია დავადასტუროთ, რომ : • დიზაინის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან (ასევე, თანხვედრაშია ფაკულტეტის დებულებასთან და სრტატეგიული განვითარების გეგმასთან), რომელიც გულისხმობს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით.

სტუდენტების ორიენტირებას ეროვნული ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე. • ვიზიტის დროს ინტერვიუერებმა გამოკითხვისას დაადასტურეს: პროგრამის მიზანი განისაზღვრა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის საფუძველზე, რომელთა შესწავლა განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და უშუალო გასაუბრების გზით. გარდა აღნიშნულისა გათვალისწინებული იქნა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოცდილება. პროგრამის მიზანს და მთლიანად პროგრამას იცნობენ და თანამონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. • დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის (პროგრამის მიზნების) ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ბხსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული პროგრამის მოკლე აღწერილობა (კატალოგი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის მიზნები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უსდ-ის, ფაკულტეტის/სკოლის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისია, მიზნები და სტრატეგია; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (არსებობის შემთხვევაში); ○ ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, პროგრამა იყენებს შემდეგ შედეგობრივ მაჩვენებელს :

- ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროს მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იცის დიზაინთან დაკავშირებული ყველა მხატვრული და ტექნოლოგიური ასპექტი, იცის შესაბამისი სპეციალობის (ტექსტილის, სამოსის დიზაინი) მასალით დეკორირების ტექნოლოგიური ნიუანსების განსხვავება და მათი რაციონალური გამოყენება სასურველი შედეგის მისაღებად, გაცნობიერებული აქვს მის მიერ არჩეული პროფესიის პერსპექტიულობა და აქტუალობა.
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა; შესაბამისი სპეციალობების დიზაინისათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება. შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, შეუძლია შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება და მისი რეალიზაცია.
- დასკვნის უნარი - შეუძლია შემოქმედებითი და ტექნოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის მოძიება და ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება, ანალიზი და ამის საფუძველზე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება და ასევე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება.
- კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დიზაინთან დაკავშირებულ საკითხებზე. აქვს კოლეგებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარი. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ნამუშევრების დემონსტრირება და პრეზენტაცია ფართო საზოგადოების წინაშე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნილოგიების გამოყენებით.
- სწავლის უნარი - შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება და საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა. აქვს უნარი შეაფასოს საკუთარი კომპეტენციის დონე და დამოუკიდებელი მუშაობით გაიღრმავოს ცოდნა.
- ღირებულებები - მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების, დარგის პროფესიული ეთიკის შესაბამისად. იცავს საქმიანობაში ინტელექტუალური და შემოქმედებითი საკუთრების უფლებას. აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.

პროგრამაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის შემდგომ განვითარებას. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქა საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, როგორც ეს იყო მიღებული. სწავლის შედეგების

შეფასების პროცესი უნდა მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს ამდენად, ,სასურველია სწავლის შედეგების რუქა გაიწეროს უშუალოდ სწავლის შედეგების მიხედვით. შეფასების შემუშავებაში ჩართულია თითქმის ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი). პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს და შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო პროგრამის პარტნიორი კომპანიები მონაწილეობენ მიღწეული შედეგების შეფასებაში დასაქმების სფეროების მოთხოვნების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი; ○ www.batu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქა საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, სასურველია სწავლის შედეგების რუქა გაიწეროს უშუალოდ სწავლის შედეგების მიხედვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება და შემოქმედებითი ტური ანუ გამოცდა ხატვაში, რომელიც ტარდება ეროვნულ გამოცდებამდე. პროგრამაში მოცემულია შემოქმედებითი ტურის ფორმატი- მოცემულობის ტიპი, ტექნიკა, დრო და დეტალურად არის ასახული შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აბიტურიენტები ინფორმაციას შემოქმედებითი ტურის შესახებ იღებენ კონსულტაციის სახითაც. ვინაიდან პროგრამა მოიცავს ორ კონცენტრაციას, სასწავლო უნივერსიტეტში შემოქმედებით ტურზე რეგისტრაციის მიმდინარეობისას ისინი იღებენ ინფორმაციას აღნიშნული კონცენტრაციების თაობაზე. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სახელოვნებო პროგრამის სპეციფიკას - გამჭვირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დიზაინის საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი www.batu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სასწავლო უნივერსიტეტი საბაკალავრო პროგრამის პოპულარიზაციის და მისი ცნობადობის ამაღლების მიზნით თანამშრომლობს დასავლეთ საქართველოს ყველა რესურცენტრთან და გარკვეული პერიოდულობით აწყობს გასვლით შეხვედრებს რეგიონულ ცენტრებში, სადაც დაწვრილებით აცნობს ინფორმაციას პროგრამის შესახებ (და მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს) დაინტერესებულ პირებს, განუმარტავს შემოქმედებითი ტურის თავისებურებებს სავარაუდო აბიტურიენტებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „დიზაინი“ შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება დიზაინის ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სრულ თანხვედრაშია მის სპეციფიკასთან, ხოლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სწავლის შედეგებს.
- პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს; კრედიტები ასეა განაწილებული: სპეციალობის საერთო კურსები - 106 კრედიტი, სპეციალობის ძირითადი კურსები (თითოეული კონცენტრაციის შემთხვევაში) – 57 კრედიტი, საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 17 კრედიტი, დამატებითი minor სპეციალობა/არჩევითი ბლოკები/სასწავლო კურსები - 60 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი სპეციალობის ნაცვლად აირჩიოს როგორც არჩევითი საგნების 20 კრედიტიანი ბლოკი, ასევე, თავად შეადგინოს არნიშნული 60 კრედიტი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების გამოყენებით. პროგრამის ბოლო სემესტრში გათვალისწინებულია სადიპლომო ნაშრომის შესრულება.
- სასწავლო კურსები, როგოც აღვნიშნეთ დაყოფილია რამდენიმე ბლოკად. პირველ ბლოკში გაერთიანებულია სპეციალობის საერთო კურსები. ბლოკი მოიცავს 13 სასწავლო კურსსა და საბაკალავრო ნაშრომს. სასწავლო კურსების მოცულობა მათი სპეციფიკის და სწავლების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით სხვადასხვაა; გვხვდება 3, 4 და 5 კრედიტიანი კურსები.საბაკალავრო ნაშრომი მოიცავს 15 კრედიტს. ზოგიერთი სასწავლო კურსი ისწავლება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში; კონკრეტულად,სასწავლო კურსები „ხატვა“ და „ფერწერა“ ისწავლება 6 სემესტრის განმავლობაში, რაც მათი სწავლების სპეციფიკით და გამოსამუშავებელი პრაქტიკული შემოქმედებითი კომპეტენციების ხასიათით არის განპირობებული. სპეციალობის პრაქტიკულ კომპეტენციებს ავითარებს, აგრეთვე, ისეთი კურსები, როგორიცაა დეკორატიული მხატვრობა, პლასტიკური ანატომია, ფერთმცოდნეობა, კომპოზიციის საფუძვლები. სპეციალობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას ავითარებს მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსები, ძველი ქართული

ხუროთმოძღვრების და შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსები.

- სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილია მოცულობით თანაბარი ორი კონცენტრაცია: „სამოსის დიზაინი“ და „ტექსტილის დიზაინი“. სასწავლო კურსების რაოდენობა თითოეულ კონცენტრაციაში განსხვავებულია; სხვადასხვაა აგრეთვე, თითოეული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრული კრედიტების ოდენობაც. „სამოსის დიზაინის“ კონცენტრაციაში არის 1 კრედიტიანი პრაქტიკული კურსიც.
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ბლოკი 2, 5 და 9 კრედიტიან სამ სასწავლო კურსს მოიცავს და ორიენტირებულია საბაზისო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხა მრავალფეროვანია და მოიცავს, ერთი მხრივ, ბატიკისა და მინანქრის 20-20 კრედიტიან ბლოკებს, ასევე, არჩევითი კურსების ჩამონათვალს. დამატებით სპეციალობად განსაზღვრულია 60 კრედიტიანი ორი პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“ და „კულტურის მენეჯმენტი“; თითოეულში 5 კრედიტიანი 12 სასწავლო კურსია მოცემული.
- ექსპერტთა რეკომენდაციაა ხელოვნების ისტორიის სფეროს საგნებს დაემატოს სპეციალურად ამ პროგრამისთვის შემუშავებული ორი ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი. ერთი მათგანი სტუდენტებს დიზაინის სფეროს უახლეს ტენდენციებს გააცნობს (პირობითი სათაური შესაძლებელია იყოს „დიზაინის თანამედროვე ტენდენციები“), ხოლო მეორე შეასწავლის თანამედროვე ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე უახლეს დარგებსა და მიმდინარეობებს (პირობითად ეს შესაძლოა იყოს „თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია“).არჩევითი სასწავლო კურსების სიაში არის კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში“. რეკომენდებულია კურსი გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის საკითხები, რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტს დამოუკიდებელი სამეწარმეო და შემოქმედებითი კარიერისათვის, მისცემს მას აუცილებელ ცოდნას შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად.
- საჭიროა პროგრამა განვითარდეს ახალი ტექნოლოგიების კუთხით, ანუ დაემატოს კომპიუტერული გრაფიკული პროგრამა მაგ. Adobe Ilustrator და/ან Adobe Photoshop, რაც სახელოვნებო მიმართულების ბაკალავრს კონკურენტუნარიანს გახდის აკადემიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით.
- უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ და ლოგიკურადაა განსაზღვრული. ასე მაგალითად, იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც გამჭოლად ისწავლება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში, ყოველი მომდევნო სემესტრის სილაბუსში მანამდე გავლილი კურსია მითითებული. თუმცა არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან „პროექტის მენეჯმენტის“ წინაპირობად დასახელებულია მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები, რაც, არ უნდა მოეთხოვებოდეს დიზაინის პროგრამის სტუდენტს და, ბუნებრივია, ტექნიკურ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და გასწორდეს სილაბუსში.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად არის აგებული, სპეციალობისა და სხვა სასწავლო კურსები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ თანდათანობით

გადასვლის პრინციპით და ლოგიკურად უვითარებს სტუდენტს შესაბამის კომპეტენციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „დიზაინი“ ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სფეროს საგნებს დაემატოს სპეციალურად ამ პროგრამისთვის შემუშავებული ორი ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი. ერთი მათგანი სტუდენტებს დიზაინის სფეროს უახლეს ტენდენციებს გააცნობს (პირობითი სათაური შესაძლებელია იყოს „დიზაინის თანამედროვე ტენდენციები“), ხოლო მეორე შეასწავლის თანამედროვე ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე უახლეს დარგებსა და მიმდინარეობებს (პირობითად ეს შესაძლოა იყოს „თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია“). ○ არჩევითი სასწავლო კურსების სიაში არის კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში“. რეკომენდებულია კურსი გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის საკითხები, რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტს დამოუკიდებელი სამეწარმეო და შემოქმედებითი კარიერისათვის, მისცემს მას აუცილებელ ცოდნას შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად. ○ საჭიროა პროგრამა განვითარდეს ახალი ტექნოლოგიების კუთხით, ანუ დაემატოს კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები პროფესიული კუთხით (მედია კლასტერი) მაგ. Adobe Ilustrator და/ან Adobe Photoshop, რაც სახელოვნებო მიმართულების ბაკალავრს კონკურენტუნარიანს გახდის აკადემიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს რეკლამისა და სარეკლამო ფოტოგრაფიის სასწავლო კურსი, რაც დამატებით ინფორმაციას შესძენს სტუდენტებს მოდის დიზაინის სფეროს აუცილებელი თანამედროვე კომპონენტების შესახებ, უფრო კონკურენტუნარიანს გახდის მათ შრომის თანამედროვე ბაზარზე და დადებით როლს შეასრულებს პროგრამის განვითარების თვალსზრისით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უსდ-ს ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ საბაკალავრო ნაშრომი (რაც ითვალისწინებს განსაზღვრული რაოდენობის კოსტიუმის/ნამუშევრის შექმნას და წარმოდგენას და დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან საჭირო მასალის ღირებულებასთან დაკავშირებით) მთლიანად ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. საბაკალავრო ნაშრომების თემების დამტკიცებისთანავე ფაკულტეტი სავარაუდო ხარჯებს წარუდგენს ადმინისტრაციას. ეს პრაქტიკა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაცია არჩევითი სასწავლო კურსების ერთიანი ბლოკის შექმნის თაობაზე შესრულებულია და ამჟამად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს საკმაოდ მოქნილ მექანიზმს და მრავალფეროვან არჩევანს დამატებითი minor სპეციალობის, 20 კრედიტიანი ორი არჩევითი ბლოკის და მრავალრიცხოვანი არჩევითი სასწავლო კურსების სახით.
- შესრულებულია რეკომენდაცია უცხო ენის გაღრმავებული შესწავლის თაობაზე და ამჟამად პროგრამაში გათვალისწინებულია 10 კრედიტიანი ინგლისური ენის სასწავლო კურსი.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია სპეციალობის საერთო და ძირითადი სასწავლო კურსები, ზოგადი და დარგობრივი სფეროების სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია სახელოვნებო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამისათვის. მთლიანობაში პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე.თითოეული სასწავლო კურსის მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა, რასაც სრულად შეესაბამება კურსისთვის მინიჭებული კრედიტების ოდენობა. გათვალისწინებულია აგრეთვე თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსებს შორის არსებული სხვაობა და საათები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: სპეციალობის სასწავლო კურსებში (სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულება) 1 კრედიტის საკონტაქტო საათების რაოდენობა 15 შეადგენს, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა 10 საათია. თეორიულ სასწავლო კურსებში (მათ რიცხვს განეკუთვნება, ასევე, დამატებითი სპეციალობის, არჩევითი ბლოკების და არჩევითი საგნების ჩამონათვალი) საკონტაქტო საათების მოცულობა 10 საათს შეადგენს, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობა - 15 საათს. ამდენად, გათვალისწინებულია თეორიული ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის საჭირო დრო. ამგვარი განაწილება შეესაბამება პროგრამისა და სასწავლო კურსების სპეციფიკას და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი გააზრებულად არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან.

სპეციალობის კურსების სწავლის შედეგები მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისია და უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიღწევას. ○ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე სასწავლო მასალა მთლიანობაში დაფუძნებულია დარგის/სფეროს აპრობირებულ ლიტერატურაზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსის (ეს ძირითადად ეხება ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსებს) სილაბუსში მითითებული ლიტერატურა გასამდიდრებელია იმ სამეცნიერო გამოცემებით, რომლებიც უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში გამოიცა ქართულ ენაზე. ქართულენოვანი სპეციალური ლიტერატურის სიმწირის გამო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს მომზადებული აქვთ ქართულენოვანი სასწავლო მასალა ე.წ. რიდერები. ○ მიგვაჩნია, რომ სპეციალობის სფეროში მიმდინარე უახლესი ტენდენციების გასაცნობად სილაბუსებში დამხმარე მასალად შესაბამისი პროფილის ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემები უნდა იყოს მითითებული (ასეთ პერიოდიკას განეკუთვნება, მაგალითად, ჟურნალები: „სტილი“, ინტერიერი“, INTERNATIONAL TEXTILES, ИНДУСТРИЯ МОДЫ, АТЕЛЬЕ და ა.შ. ეს გამოცემები კარგად ასახავს მოდის და ტექსტილის სფეროში მიმდინარე პროცესებს, აღწერს თანამედროვე კოლექციების ძირითად კონცეფციებს, ორგანიზებას უწევს დისკუსიებს თანამედროე ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, რომ სპეციალობის სფეროში მიმდინარე უახლესი ტენდენციების გასაცნობად სილაბუსებში დამხმარე მასალად შესაბამისი პროფილის ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემები იყოს მითითებული (ასეთ პერიოდიკას განეკუთვნება, მაგალითად, ჟურნალები: „სტილი“, „ინტერიერი“, INTERNATIONAL TEXTILES, ИНДУСТРИЯ МОДЫ, АТЕЛЬЕ და .შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაცია ქართულენოვანი სასწავლო მასალის თაობაზე და მთელი რიგი სასწავლო კურსებისთვის შექმნილია ე.წ. რიდერები.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, რაც წარმოაჩენს სტუდენტის მიერ გამომუშავებული პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების სახეს. ნაშრომში აისახება შემოქმედებითი იდეის ჩასახვისა და განხორციელების მთელი ციკლი, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და შემოქმედებითი ასპექტები. ამდენად საბაკალავრო ნაშრომი აღნიშნული უნარების განვითარებას ემსახურება.
- სპეციალობის სფეროს/სფეროების სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია პრაქტიკის კოპონენტის გაღრმავება და გამრავალფეროვნება საბაკალავრო პროგრამის ორივე კონცენტრაციაში (ამჟამად 1 კრედიტიანი პრაქტიკა მხოლოდ „მოდის სამოსის“ კონცენტრაციაშია გათვალისწინებული). მართალია, სპეციალობის სასწავლო კურსების სპეციფიკა ისეთია, რომ სტუდენტები სასწავლო პრაქტიკის სახით იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მაგრამ **საწარმოო პრაქტიკის** კომპონენტის დამატება შესაძლებლობას მისცემს მათ რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ინდუსტრიების ბაზაზე შეიძინონ დამოუკიდებლად ან პროფილურ საწარმოში მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციები.
- სტუდენტები ფართოდ არიან ჩართული უნივერსიტეტსა თუ მის ფარგლებს გარეთ, რეგიონში მიმდინარე სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებსა თუ შემოქმედებით პროექტებში, რაც, უდავოდ, უვითარებს მათ პრაქტიკულ და სხვა ტრანსფერულ უნარებს. დანერგილია გასვლითი მეცადინეობების, პლენერზე მუშაობის პრაქტიკაც. სტუდენტებს შესაძლებობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, პროგრამის ხელმძღვანელისა და კოორდინატორის დახმარებით მოამზადონ სხვადასხვა სახის ნამუშევართა პრეზენტაცია. აქტიურად არის დანერგილი სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენების ორგანიზება უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტი იყენებს შესაძლებლობებს ჩართოს პროგრამის სტუდენტები რეგიონში მიმდინარე ისეთ შემოქმედებით პროექტებში, როგორიცაა მხატვრული ფილმის გადაღებაში პრაქტიკული მონაწილეობა, თეატრისა და ფოლკლორული ანსამბლების ღონისძიებები და სხვ. ამდენად, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან

- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ www.batu.edu.ge

რეკომენდაციები:

- მოდისა და ტექსტილის დიზაინის სფეროში სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად (მოდის ინდუსტრიის ტენდენციების გასაცნობად) რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის **-საწარმოო პრაქტიკის**- გაღრმავება და გამრავალფეროვნება საბაკალავრო პროგრამის ორივე კონცენტრაციაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და დამსაქმებლეთან ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში ფართოდაა დანერგილი პრაქტიკა სწავლის პროცესშივე მოკლევადიან პროექტებში დაასაქმონ სტუდენტები და განუვითარონ მათ რეალურ შემოქმედებით პროექტში მონაწილეობის, რეალური დროის რეჟიმში განსაზღვრული ფუნქციის შესრულების უნარ-ჩვევები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სწავლა-სწავლების მეთოდები და სწავლების სხვადასხვა ფორმატი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა, კონსულტაცია. ჩამოთვლილ მეთოდებს განეკუთვნება: ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, სტუდიურ-ლაბორატორიული მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის და თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშის, გონებრივი იერიშის, ინდუქციური და დედუქციური, ანალიზის და სინთეზის და სხვა მეთოდები. ამ მეთოდთა ერთი ნაწილი კარგად ცნობილი, და სახელოვნებო განათლების სფეროში კარგად აპრობირებული მეთოდებია. მათ რიცხვს დემონსტრირების, სტუდიურ-ლაბორატორიული მუშაობის, ახსნა-განმარტებითი მეთოდები მიეკუთვნება. თუმცა, სილაბუსებში ჩამოთვლილ მეთოდთა გარკვეული ნაწილი კურსის შინაარსის გაცნობისას აღარ დასტურდება. ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სწავლა/სწავლების მეთოდთა ამგვარი მრავალფეროვნება ერთგვარი საუნივერსიტეტო მიდგომის შედეგია,

ხოლო თითოეული კურსის პედაგოგი იყენებს კურსის სპეციფიკის შესაბამის მეთოდებს. სპეციალობის სასწავლო კურსებში აქცენტი კეთდება ისეთ მეთოდებზე, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტი თანდათან სწავლობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებას, ეცნობა ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს, სწავლობს წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრას და საკუთარი მიღწევების პრეზენტაციას. სწავლების აპრობირებულ მეთოდთა გამოყენება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციას, უღვივებს ინტერესს ახალი შემოქმედებითი ამოცანების მიმართ, ხოლო შემოქმედებითი პროდუქციის საჯარო პრეზენტაცია თვითშეფასების უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში უნდა აისახოს სწავლა/სწავლების ის კონკრეტული მეთოდები, რომლებიც თვალნათლივ დადასტურდება სილაბუსის შინაარსის გაცნობისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს სწავლა/სწავლების ის კონკრეტული მეთოდები, რომლებიც თვალნათლივ დადასტურდება სილაბუსის შინაარსის გაცნობისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაწერილია შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები.

სპეციალობის რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკულ-შემოქმედებითი სემესტრული პროექტების კომისიური წესით შეფასება.

სტუდენტებთან ინტერვიუს მეშვეობით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების შედეგებსი გასაჩივრების მექანიზმი და სტუდენტები ინფორმირებული არიან მის შესახებ.

სისტემატურად მიმდინარეობს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). შეფასების ქულა და კრიტერიუმები, როგორც თეორიული საკითხების, ასევე პრაქტიკული დავალებების შეფასების ნაწილში, ინდივიდუალურია და გაწერილია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში. დიზაინის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე (ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია და ა.შ.) დასკვნითი გამოფენა-გამოცდის შესაფასებლად შემუშავებულია შეფასების რუბრიკა. შეფასების რუბრიკის ფორმა საერთოა ყველა საშემსრულებლო სასწავლო კურსისათვის. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შემუშავებულია პრაქტიკული კომპონენტისა და საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები. სტუდენტი ყოველი სემესტრის დასაწყისში ეცნობა თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსს, დავალებების თემატიკას და მოცემულობებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს. ამდენად, „დიზაინის“ პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ○ სტუდენტების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

			მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიზაინის სპეციალობის ყოველი სტუდენტი, სისტემატურად და დროულად იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას. დასაქმებაზე სათანადო კონსულტაცია და კარიერული განვითარების მხარდაჭერა სტუდენტებს აქვთ თავიანთი სწავლების პერიოდშიც და სწავლების დასრულების შემდეგაც. სტუდენტებთან ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა მეთოდით. ვიზიტის დროს გავეცანით უნივერსიტეტში შექმნილ კარიერული მხარდაჭერის სამსახურს, რომელიც ეხმარება სტუდენტს პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების მიმართულებით. ეხმარება პრეზენტაციებისა და საკონკურსო პროექტების შემუშავებაში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით სტუდენტებს კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო აკადემიურ ნაწილში პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი დეპარტამენტი და პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, დეპარტამენტში შედგენილია პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რაც განთავსებულია დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე. დღეისათვის უნივერსიტეტს არ აქვს ელექტრონული პორტალი, რაც გაუმჯობესებდა სტუდენტთა აკადემიურ მომსახურებას, შეფასების გამჭვირვალობას და საინფორმაციო კომუნიკაციას. ინტერვიუმ დამსაქმებელთან და კურსდამთავრებულებთან წარმოაჩინა **საწარმოო პრაქტიკის** დეფიციტი, რაც განსაკუთრებით მოდის ინდუსტრიის სფეროში სტუდენტების ჩართულობისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან კომპონენტად მიგვაჩნია, კარიერულ

განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერისათვის. ამგვარი აქტივობები უზრუნველყოფს შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სხვადასხვა საგანში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას. მით უფრო, რომ რეგიონში კარგი პირობაა შექმნილი ინდუსტრიის განვითარებისა (მეზობელი ქვეყანაც წარმატებით იყენებს ბაზარს) და დამსაქმებელიც მზად არის აიყვანოს ინტერნები, რათა გაიზარდოს კონკურენცია და ამაღლდეს წარმოების ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ მომსახურებაში ჩართულ პირთა ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; ○ ინტერვიუები;
რეკომენდაციები: ○ შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მიზნით, რეკომენდირებულია დაინერგოს საწარმოო პრაქტიკა ე.წ. ინტერნშიფი თუნდაც წინასადიპლომო პერიოდში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია შეიქმნას ელექტრონული პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთათვის შეფასების გამჭვირვალობას, გააუმჯობესებს ინფორმაციის სწრაფ გაცვლას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნული პუნქტის შევსებას არ ითვალისწინებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება დარგის მიმართულებით პროფესიული საქმიანობით, განვლილი ტრენინგკურსებით, განხორციელებული კვლევითი/

შემოქმედებითი პროექტებით, მათ მიერ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებებით, გამოქვეყნებული ნაშრომებითა და შემოქმედებითი პროექტებით.

საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია შესაბამისი ცოდნის, უნარების მქონე 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, პირველი კატეგორიის 3 და მეორე კატეგორიის 1 მოწვეული სპეციალისტი. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის აუცილებელ ცოდნას, რაც დასტურდება მათი აკადემიური ხარისხისა და სასწავლო კურსის შესაბამისობით, გამოცდილებით და შემოქმედებითი მიღწევებით.

პროგრამაში ჩართული 8 აკადემიური პირი აფილირებულია ბხსუ-სთან. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან წარმოადგენს 8/4. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში (ამჯერად ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე პროგრამას ყავს 20 სტუდენტი) და უზრუნველყოფს აკადემიური რესურსის სტაბილურობას, პროგრამის მდგრადობას.

მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც აკადემიური პირები, ჩართულნი არიან სტუდენტთა კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. აკადემიური პერსონალის დატვირთვის მოცულობის განმ-საზღვრელი სავალდებულო ფაქტორია ბხსუ-სთან აფილირება, რომელიც რეგულირდება დასაქმებულსა და ბხსუ-ს შორის ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრის შესახებ წერილობითი შეთანხმებით. აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველი არის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინადადებება/დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პროექტი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება დარგის მოთხოვნებს, მას განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მონაწილეობს პროგრამის განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესში. გამოკითხვების თანახმად, სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო შეხვედრები
- პერსონალის პირადი საქმეები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია შემუშავდეს და დაიგეგმოს პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი აქტივობები მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის: ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, მასტერ-კლასები, პარტნიორული კავშირები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გარემოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ბხსუ-ში რეგულარულად მიმდინარეობს დიზაინის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სასწავლო პროცესის შედეგების მონიტორინგი. პროცესი მოიცავს სასწავლო საქმიანობის შეფასებას. გამოკითხვებისა და შეფასების შესაბამისი ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ხორციელდება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და პროგრამული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოქმედებები. აკადემიური პერსონალის დატვირთვის მოცულობის განმსაზღვრელი სავალდებულო ფაქტორია ბხსუ-სთან აფილირება, რომელიც რეგულირდება დასაქმებულსა და ბხსუ-ს შორის ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრის შესახებ წერილობითი შეთანხმებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, ვინაიდან ისეთ მცირერიცხოვან მიღებას/ წელიწადში 7სტუდენტი და საერთო რიცხვს/სულ 20 სტუდენტი, როგორიც მოცემულ პროგრამას აქვს ამ რაოდენობის აფილირებული აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები სავსებით საკმარისია. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ აკადემიური, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი, საგამოფენო და სხვა საქმიანობის განხორციელებას, რისთვისაც იყენებს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს; პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და

კონფერენციებში, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო პროექტებით, მოწოდებული მასალითა და ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებით. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩანს მისწრაფება ინტერნაციონალიზაციის პროცესისკენ. ექსპერტთა აზრით, ბხსუ-მ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი უწყვეტი განათლების ცენტრს თავის მუშაობაში წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას, რათა შემუშავდეს კონკრეტული გეგმა პერსონალის განვითარებისთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტივობები (ტრენინგები, ენის კურსები და სხვა), რათა შემუშავდეს კონკრეტული გეგმა, იმისათვის რომ ადეკვატურად მომზადდეს აკადემიური პერსონალი საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები ○ პერსონალთან გასაუბრება ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ ბხსუ-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გადამწყვეტი აქტივობები (ტრენინგები, ენის კურსები და სხვა), რათა შემუშავდეს კონკრეტული გეგმა, იმისათვის რომ ადეკვატურად მომზადდეს აკადემიური პერსონალი საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, აუდიო-ვიდეო აპარატურით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კვების ბლოკით, ხანძარსაწინააღმდეგო, გათბობისა და

კონდიცირების უახლესი აღჭურვილობით, შეზღუდული უნარების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოთი.

საგილისხმოა, რომ 2019 წლიდან პროგრამა განხორციელდება ახალ სივრცეში, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობა: სტუდიები და სახელოსნოები, სამკერვალო ლაბორატორია. შექმნილია ყველა პირობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის, იმ მიზნით რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი.

დღეისათვის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტს და პედაგოგს გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების აზრით, თეორიული, ანალიტიკური, შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებისათვის, სასურველია, გამდიდრდეს ბიბლიოთეკის რესურსი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სპეციალური სასწავლო და საინფორმაციო ლიტერატურით, საინფორმაციო-ანალიტიკური პერიოდული გამოცემებით, მოდის ჟურნალებით, რომლებშიც ასახული იქნება თანამედროვე ტენდენციები, სიახლეები მიმართულებები მოდის სფეროში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, რაც დადასტურდა შეხვედრების დროს ინტერვიუებში.

ბხსუ-ს ვებ-გვერდს აქვს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციები და მოიცავს ინფორმაციას აქტივობის შესახებ, დაწესებულების სტრუქტურის, მმართველი ორგანოებისა და მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შესახებ, ფაკულტეტების შესახებ, სამეცნიერო კვლევითი ერთეულების და მათი საქმიანობის შესახებ, დაწესებულების პერსონალის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამებზე, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, ბიბლიოთეკაზე და სხვა. ბხსუ გეგმავს ვებ-გვერდის განახლებას უახლოეს დროში(ახალ სივრცეში გადასვლასთან დაკავშირებით) სადაც რეგულარულად განახლდება ინფორმაცია მიმდინარე მხატვრულ/შემოქმედებით პროექტებზე, კონკურსებზე, სხვა საჯარო, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებზე.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგია, რათა გაამდიდროს საბიბლიოთეკო ფონდის რესურსი, დარგისა და მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს მონაცემებს, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ელექტრონული პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთათვის შეფასების გამჭვირვალობას, ასევე ხელსაყრელი იქნება საბიბლიოთეკო მასალაზე წვდომისა და ინფორმაციის სწრაფი გაცვლუსათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის დროს ადგილზე დათვალიერება
- სამუშაო შეხვედრები
- ინტერვიუს შედეგები

- თვითშეფასება
- საბიბლიოთეკო
- მატერიალური და ტექნიკური რესურსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საბიბლიოთეკო რესურსების განახლება სფეროს/დარგის ახალი საგანმანათლებლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებითა და ტრენდული ჟურნალებით. მაგალითად: INTERNATIONAL TEXTILES, ИНДУСТРИЯ МОДЫ, АТЕЛЬЕ

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სასწავლო უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებით და საკუთარი შემოსავლებით. ხელოვნების უნივერსიტეტის წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 650 000 ლარს. მათ შორის სახელმწიფო სუბსიდია - 1 150 000 ლარი: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროდან - 400 000 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან - 750 000 ლარი, სტუდენტთა სწავლის საფასურიდან შემოსული თანხა - 500 000 ლარი. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: პროგრამებში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნიკის, ინვენტარისა და სახარჯი მასალების, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაფინანსების წყაროები
- ბხსუ-ს ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ვფიქრობთ, საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს სტუდენტებისათვის სადიპლომო კოლექციების და სხვა ტიპის პროექტების განსახორციელებლად უსდ-ს მიერ ძვირადღირებული მასალების შეძენა და დაფინანსებით უზრუნველყოფა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამი სობაში მოთხოვ ნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია „მუდმივი გაუმჯობესების ციკლი“ «დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” *P – plan* - დაგეგმე; *D – do* - განახორციელე; *C - check* - შეამოწმე; *A – act - განავითარე.* გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის შემდეგ სქემას: ➢ პირველ ეტაპზე (**“დაგეგმე”**) იგეგმება საკუთარი სამუშაო, განისაზღვრება საქმიანობის ასპექტები, სტრუქტურები და პროგრამები, მათი განხორციელების თანმიმდევრობა, ვინ და რა კრიტერიუმების მიხედვით აფასებს დაგეგმილ საქმიანობას; ➢ მეორე ეტაპზე (**“განახორციელე”**) ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;

- მესამე ეტაპზე (**„შეამოწმე“**) ერთვება შემოწმების მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს და შესაბამისად, იძებნება მიზეზები;
- საბოლოო ეტაპზე (**„განავითარე“**) ჯამდება შედეგები, განისაზღვრება ნაკლოვანებები, იძებნება მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავდება სათანადო რეკომენდაციები; ნაკლოვანების არსებობის შემთხვევაში დაისახება არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმები.

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით ბხსუ-ში შემუშავებულია ასევე სასწავლო და სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის შეფასების წესი:

სასწავლო პროცესის შეფასებისას უნდა დადგინდეს სწავლების ადეკვატურობა, პრობლემები და დაისახოს მათი აღმოფხვრის გზები. სასწავლო პროცესის უმთავრესი შედეგი და მისი აღიარებული ინდიკატორია სტუდენტის აკადემიური მოსწრება, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტების გამოკითხვა, ასევე დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გაანალიზება.

თვითშეფასების თანახმად, ბხსუ-ში სწავლების კომპეტენციების შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

√ სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;

√ სასწავლო კურსების შეფასება;

√ შეფასება კოლეგების მიერ (ლექციაზე დასწრება);

სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხის დადგენა;
2. შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
3. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები;
4. სტუდენტების მომზადების დონე.

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას. აღნიშნულ სასწავლებელს გააჩნია როგორც ცენტრალური საერთო ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრი, აგრეთვე ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს - ფაკულტეტს გააჩნია თავისი ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი.

პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; მიღებული სტანდარტების საფუძველზე ხდება პროგრამების სისტემატური ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კანონმდებლობაში, ახალი ავტორიზაცია/აკრედიტაციის კანონების დამტკიცების შემდეგ, ცენტრალურმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კონკრეტული პროგრამა მოამზადა და შეაფასა ახალი სტანდარტებთან შესაბამისობით. ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების შესაბამისად“, სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი საქმიანობის ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის სამოქმედო გეგმა.
- ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“

○ შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები ○ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ○ ბხსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ,,კმაყოფილების კვლევის შეფასება“
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს: კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. გასაუბრებით ირკვევა, რომ მოხდა შეფასების შედეგების განიხილვა და მიღებული რეკომენდაციების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის, ასევე თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარდგენით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ბხსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური უფროსი არის ამ პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების და პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუ-დენტთა გამოკითხვები, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით) აღნიშნულ კურსს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე მუშავდება და დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. განიხილება ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების, ძირითადი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის შეცვლის ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი. ყოველივე ეს წინაპირობაა პროგრამის განვითარებისა და მოდიფიცირებისა.

მაგალითად, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. *პლასტიკურ ანატომის დაემატა ერთი კრედიტი, რაც სასწავლო კურსის უკეთ ათვისებას შეუწყობს ხელს.*
2. *„კოსტუმების ისტორია“ შეიცვალა „ტექსტილის და სამოსის ისტორიით“.*
3. *„კომპიუტერული პროგრამები“ გადავიდა საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ბლოკში.*
4. *წინა პროგრამისგან განსხვავებით „სამოსის კომპოზიციას“ წინაპირობად დაემატა „ქსოვილის კომპოზიციაც“, რამაც სასწავლო კურსი უფრო მოქნილი და საინტერესო გახადა.*
5. *„მსოფლიო ხელოვნება“ ნაცვლად 3 სემესტრისა (3-3 კრედიტი, სულ 9 კრედიტი), ისწავლება 4 სემესტრის მანძილზე (სულ 12 კრედიტი), რაც მისცემს კურსდამთავრებულს საშუალებას სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების*

მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ჩაერთოს მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემაში, დასაქმდეს საგანმანათლებლო სფეროში სათანადო სერთიფიკატის მოპოვების შემთხვევაში.

6. *საბაკალავრო ნაშრომი, განსხვავებით წინა სილაბუსით გათვალისწინებული მიმდინარე და დასკვნითი შეფასებისა, ახალი სილაბუსით შეფასდება ერთჯერადად, კომისიური წესით.*
7. *სპეციალობის სასწავლო კურსებში შემუშავდა განახლებული რიდერები ქართულ ენაზე.*
8. *პროგრამას დაემატა სპეც. იგლისური ენის არჩევითი კურსები დიზაინის მიმართულებით B1 და B2.*

ვიზიტის დროს გამოიკვეთა განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათი ჩართულობა პროგრამის გაუმჯობესებაში. სტუდენტები და კურსდამთავრებულები უშუალოდ იყვნენ ჩართული ახალი თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, რაც პროგრამის ახალი ვერსიის შემუშავების დროს იყო მიმართული თავისი კურსდამთავრებულებით ინდუსტრიის განვითარების და ზრდის მაჩვენებლების შესაბამისად მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

სტუდენტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს თავიანთი აზრის გამოხატვა აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. მათ აქვთ საშუალება ანონიმურად ან პირდაპირ გამოხატონ თავიანთი ხედვა და დააფიქსირონ თავისი აზრი კონკრეტული საგნის, ლექტორის თუ ზოგადად პროგრამასთან მიმართებაში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) - არ არის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა იაშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა  ნინო ღაღანიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე ჩხუტიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარი ბერიანიძე
ს